21 IUNIE

RUGACIUNEA 1

SF.REGE-MUCENIC

LUARSAB 2 AL GEORGIEI

სავედრებელი ლოცვა

ჰოი, ყოვლად დიდებულო, წმიდაო მოწამეო ქრისტეისო, ახოვნად მოთმინეო, მხედარო დიდ-სახელო, ბრძოლათა შინა უძლეველო და ჭირთა შინა ურცხვენელო, მვედრებელთა შენთა მსწრაფლშემწეო და წყალობისა -მომნიჭებელო, ღმრთივგვირგვინოსანო მეფეო ლუარსაბ!

ჰოი ბრწყინვალეო და დიდო სამკაულო მოწამეთაო და სახელ-დიდო მეფეო ქართველთაო, წმიდაო ლუარსაბ! მოგვიხსენე წინაშე ღმრთისა, რომლისა სიყუარულითა სისხლი დასთხიე, დიდებულო, და ელვარებითა სიწმიდისა შენისაითა დაშრიტე საზეპუროსა ერსა ჩუენსა ზედა აღძრული საიდუმლოი იგი უშჯულოებისაი და დაგვიფარე მწვალებელთა შესაკრებელისაგან, რომელ არს „სამაგელი მოოხრებისაი“, მოგუანიჭეი ძლევაი მათ ზედა და დამტკიცებაი მართლმადიდებლობისაი ქრისტეის

ღმრთისაგან, ხოლო სარწმუნოებაი იგი ჩუენი ქრისტეის მიმართ კუალად განაახლე და მოგუმადლე მოუკლებელი სიყუარული ღმრთისა, მეფისა და მამულისაი, და აღგვიდგინე რქაი ცხებულობისაი, რაითა არა მივემსგავნეთ პირუტყუთა უგუნურთა, მსგავსად მათ კერპთმსახურთა და სხუთაცა ეგევითართა უგულისხმოთა, ვითარცა ნებსით განმდგარნი და დამვიწყებელნი საუკუნოისა ცხორებისანი. განაძლიერე მსახურებასა შინა უწმიდესი და უნე-ტარესი, სრულიად საქართველოის კათალიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, დიდი მეუფეი, მამაი ჩუენი ილია, ყოვლადსამღდელონი მიტ-როპოლიტნი, მთავარეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი, პატიოსანნი მღდელნი, ქრისტეს მიერ დიაკონნი და ყოველნი სამონაზვნო წესნი, ზიარნი მართლმადიდებელისა ეკლესიისანი და ყოველნი მართლმორწმუნენი ქრისტეანენი.

ჰოი, საჩინოო, ახოვანო, სახელოვანო გვირგვინოსანო, მხნეო ლუარსაბ! მოწყალებითა იესუს ღმრთისა მსგავსითა, იმეოხენ წინაშე მისსა, რაითა მოჰმადლოს ეკლესიათა დიდებაი, სამღდელოთა პატიოსნებაი, მთავართა კეთილად მწყსაი ერისაი, მხედართა მამაცობაი, ერისაგანთა უცოდველობაი და დედათა

კრძალულებაი, ხოლო ჩუენ მოგუანიჭოს კეთილ-
მოქალაქობით ცხორებაი, ქუელის საქმითა
განშუენებაი, წმიდითა ლოცვითა განათლებაი,
აღსარებითა განწმედაი, ზიარებითა განბრწყინვებაი,
პატიოსნად მიცვალებაი, სასუფეველსა დამკვიდრებაი,
ანგელოზთა თანა გალობაი, წმიდათა თანა სუფევაი,
და შენ თანა დიდებაი და მადლობაი, რამეთუ მისა
ჰშუენის ყოველი დიდებაი, პატივი და თაყუანისცემაი,
თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის
და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.